



ბანკითარებისა და დემოკრატიის ცენტრი  
CENTER FOR DEVELOPMENT AND DEMOCRACY

## რეკომენდაციები

### პანდემიის პირობებში არჩევნების უსაფრთხოდ ჩასატარებლად

COVID-19 პანდემიამ მნიშვნელოვანი ტექნიკური, პოლიტიკური და სოციალური საფრთხე შეუქმნა მსოფლიოში არჩევნების ჩატარებას. 2020 წელს მსოფლიოს მასშტაბით დაგეგმილი იყო 70-ზე მეტი ეროვნული არჩევნები, 100-ზე მეტი ადგილობრივი არჩევნები და 10-მდე რეფერენდუმი, რომელთა გამართვაც კორონავირუსის პანდემიამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. 2020 წლის 1 მარტიდან დღემდე მსოფლიოს 50-ზე მეტ ქვეყანამ მიიღო ეროვნული თუ ადგილობრივი არჩევნების/რეფერენდუმის გადადების გადაწყვეტილება.

თუმცა მიუხედავად პანდემიისა, 20-მდე ქვეყანამ უზრუნველყო ეროვნული თუ ადგილობრივი არჩევნების/რეფერენდუმის გამართვა. ვინაიდან კორონავირუსის გავრცელებას თან ახლავს საარჩევნო პროცესის შეფერხებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები (ტექნიკური და ადამიანური), ქვეყნებს არჩევნების სათანადო დონეზე ჩასატარებლად მოუწიათ მნიშვნელოვან საფრთხეებთან გამკლავება [ინილუმ სტაშია](#) რამაც გაართულა ან რიგ შემთხვევაში შეუძლებელი გახდა არჩევნების სათანადო დონეზე ორგანიზება, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე მის ფარგლებს გარეთ (საზღვარგარეთ).

საქართველო საპარლამენტო არჩევნების მოლოდინშია, რომელიც უნდა გაიმართოს მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში. მსოფლიოში არსებული პანდემიის ხარისხისა და ჩვენ ქვეყნის მდგომარეობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია სახელმწიფო ინსტიტუტებმა, პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებ პირებმა, საარჩევნო ადმინისტრაციამ და არჩევნებში ჩართულმა ყველა მხარემ დროულად მოახდინონ მოსალოდნელი საფრთხეების შეფასება და სხვა ქვეყნების პრაქტიკისა და ჯანდაცვის ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით შეიმუშაონ რისკების პრევენციის/მართვის სამოქმედო გეგმა/სტრატეგია არჩევნების გამჭვირვალედ და დემოკრატიულად ჩასატარებლად.

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრმა CDD-იმ შეისწავლა პანდემიის პირობებში არჩევნებთან დაკავშირებული საერთაშორისო პრაქტიკა. შესაბამისად მიგვაჩნია, რომ არსებობს მეტნაკლებად მაღალი რისკის მქონე საარჩევნო ღონისძიებები, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ვირუსის გავრცელებაზე, საზოგადოებრივ ჯანმრთელობასა და არჩევნების ლეგიტიმაციაზე, კერძოდ:

- **წინასაარჩევნო/საარჩევნო პერიოდში:** საარჩევნო კამპანია (შეხვედრები მოსახლეობასთან); კანდიდატთა რეგისტრაცია; მხარდამჭერთა სიების შევსება; საარჩევნო კომისიების დაკომპლექტება; ამომრჩეველთა რეგისტრაცია და სიის გადამოწმება; ტრენინგები, ამომრჩეველთა განათლება და ინფორმირება; საარჩევნო უბნების მოწყობა (განსაკუთრებით საზღვარგარეთ); საზოგადოებრივი უსრის გამოკითხვა და სხვა;
- **კენჭისყრის დღეს:** ხმის მიცემის პროცესი, რომორც საარჩევნო უბანზე ასევე მის ტერიტორიაზე (გადასატანი ყუთი); ამომრჩეველთა აქტივობა და მაღალ რისკ ჯგუფში მყოფი ამომრჩეველის მონაწილეობა (ქეჩიები, მესაზღვრეები და კარანტინში მყოფი ამომრჩეველები) და სხვა;
- **არჩევნების შემდგომი პერიოდში:** საარჩევნო დავები (საჩივრების წარდგენა და განხილვა); არჩევნების შედეგების შეჯამება და გასაჩივრება; არჩევნების მეორე ტური და სხვა;
- **არჩევნების მთელ პერიოდში:** საარჩევნო კომისიების სტრუქტურა; სხვადასხვა ურთიერთსა და საზოგადოებრივ ურთიერთობებში (ცხსკომში არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობის კომისია, ტექნიკური ჯგუფი TWG და სხვა) და სხვა.

აღნიშნული რისკების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია შესაბამისმა უწყებებმა ყურადღება მიაქციონ და მხედველობაში მიიღონ შემდეგი რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია არჩევნების დანიშნავდა შეიქმნას საკომუნიკაციო საბჭო, სადაც გაერთიანებული იქნებიან ხელისუფლების, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სამედიცინო სფეროს ექსპერტები. საბჭო შეიმუშავებს პრევენციულ ღონისძიებებსა და რეკომენდაციებს არჩევნების უსაფრთხოდ გაატარების უზრუნველსაყოფად. საბჭომ ასევე უნდა იზრუნოს ამომრჩეველებისთვის შესაბამისი ინფორმაციებისა და სიახლეების დროულად მიწოდებაზე.
- ამომრჩეველთა მხარდამჭერთა უზიარებელი კონტაქტის შესაბამისად საარჩევნო სუბიექტებმა უსივრცელი გამოიყენონ კამპანიის წარმოების მხლოდ ელტრანსმისი მექანიზმები, ისეთი როგორცაა: სოციალური მედიის პლატფორმები, ინტერნეტი ან ტრადიციული მედია საშუალებები;
- ვირუსის გავრცელების პრევენციისა და ამომრჩეველთა მხარდამჭერთა უზიარებელი კონტაქტის შემცირების მიზნით მნიშვნელოვანია საარჩევნო სუბიექტის მხარდამჭერთა სიების შევსების უსაფრთხო მექანიზმის შემუშავება;
- არჩევნებში მონაწილეობის მსურველ კანდიდატთა რეგისტრაციისთვის სასურველი განხილულ იქნას დისტანსიურად რეგისტრაციის შესაძლებლობა (ელ. ფოსტა, ელექტრონული პლატფორმა და სხვა);
- საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის ჩასატარებლად მნიშვნელოვანია განხილულ იქნას კონკურსის დისტანსიურად ჩატარების შესაძლებლობა (ელ. ფოსტა, ელექტრონული პლატფორმა და სხვა);

- ამომრჩეველთა რეგისტრაციისა და სიაში გადამოწმებისთვის მნიშვნელოვანია მოხდეს არსებული დისტანციური სერვისების განვითარება და ამომრჩეველთა უწყვეტი ინფორმირება;
- მნიშვნელოვანია კომისიის წევრთა და ჩართულ მხარეთა ტრენინგები, საზოგადოებრივი აზრის გამომკითხვა; ამომრჩეველთა საბანანათლებლო და საინფორმაციო პროგრამები განხორციელდეს დისტანციურად;
- აუხილებელია საარჩევნო კომისიების მიერ საქთარი უფლებამოსილებას სოსიალური დისტანციის დაცვით განსახორციელებლად, აგრეთვე კენჭისყრის პროცესის უსაფრთხოდ ჩასატარებლად განხორციელდეს იმ შენობა-ნაგებობების შესწავლა და ანალიზი, რომლებშიც იხსნება საარჩევნო უბნები. საქროების შემთხვევაში მნიშვნელოვანია მოძიებულ იქნას მცირე სივრცის მქონე კენჭისყრის ოთახების ალტერნატივა, რათა მოხდეს საარჩევნო უბნების ისე მოწყობა, რომ ყველა უფლებამოსილ პირს შეეძლოს უფლებების შეუზღუდავად განხორციელება და უიჯიჟური ქონტაქტის შექმნა;
- მაღალი რისკის მქონე ამომრჩეველების ცხვედიხინო პერსონალი, მესაზღვრეები, ქარანტინში მყოფი ამომრჩეველები და სხვა, საკონსულტაციო აღრიცხვაზე მყოფი ამომრჩეველებისა და მოწყვლადი ჯგუფების მსჯავრდებულნი/ბრალდებულნი, ხანდაზმულები, ქალები, ახალგაზრდები, ეთნიკური უმცირესობები, მხარდაჭერის მიღები და შშმ პირები და სხვა არჩევნებში უწყვეტი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად განხილულ იქნას ხმის მიცემის უსაფრთხო და ალტერნატიული შესაძლებლობები (შესაძლებელია ვადაზე ადრე ხმის მიცემა);
- აუხილებელია შემუშავდეს სახელმძღვანელო მითითებები (გაიდლაინები): კომისიის წევრებისთვის, ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლებისთვის, კანდიდატებისთვის, საარჩევნო სუბიექტებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის, საქთარი უფლებამოსილებას სოსიალური დისტანციის დაცვით განსახორციელებლად და კენჭისყრის პროცესის უსაფრთხოდ ჩასატარებლად;
- სასურველია საარჩევნო კომისიების სხდომები და სხვადასხვა ფორმების თემატური სამუშაო ჯგუფების საქმიანობა განხორციელდეს სოსიალური დისტანციის დაცვით, საქროების შემთხვევაში მნიშვნელოვანია გამოყენებულ იქნას უწყვეტი ონლაინ პლატფორმები (მაგ: სხდომების პირდაპირი ტრანსლირება);
- სასურველია საზნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის, ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლებისთვის, საარჩევნო სუბიექტებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის დაწესდეს ზედა ასაკობრივი ზღვარი, ვირუსის გავრცელების პრევენციისა და რისკ ჯგუფების ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად;
- აუხილებელია შემუშავდეს სახელმძღვანელო მითითებები ამომრჩეველებისთვის, რაც უზრუნველყოფს საარჩევნო უბანზე უიჯიჟური ქონტაქტის და ამომრჩეველთა ნაქადის შექმნა. ამომრჩეველთა ინფორმირებისთვის აუხილებელია გამოყენებულ იქნას ყველაზე უწყვეტი კომუნიკაციის საშუალებები (ვიდეო რგოლები, ბროშურები, პლაკატები და სხვა);
- ადგილობრივი დამკვირვებლებისა და საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლებისთვის სასურველია განხილულ იქნას განსხვავება/საჩივრების ზემდგომ საარჩევნო კომისიაში და სასამართლოში ონლაინ წარდგენის შესაძლებლობა;
- ამომრჩეველთა აქტივობის შენარჩუნების მიზნით მნიშვნელოვანია განხილულ იქნას არჩევნებში მონაწილეობის წახალისების შესაძლებლობები;
- კენჭისყრის დღეს პრევენციული ღონისძიებების განსახორციელებლად აუხილებელია საარჩევნო უბნების აღჭურვა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული ჯანმრთელობის დაცვის საშუალებებით (ვირბადა, ხელთათმანი, საღვინეუქციო ხსნარი, სამოსი საქროებიდან გამომდინარე და სხვა).